



## ინფორმაცია

### საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის სასამართლო პრაქტიკის განზოგადების შესახებ

1. შესავალი
2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი:
  - 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები
  - 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები
3. დასკვნა

#### 1. შესავალი

2012 წლის განმავლობაში განხილულია სულ 847 საკასაციო საჩივარი, აქედან გაუქმდა 108 საქმეზე მიღებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 85 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: თბილისის საქალაქო სასამართლომ – 69, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ – 1, თელავის რაიონულმა სასამართლომ – 2, გორის რაიონულმა სასამართლომ – 1, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ – 2, რუსთავის საქალაქო სასამართლომ – 6, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ – 4);
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 23 საქმე (აღნიშნულ საქმეებზე სარჩელები განიხილეს: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ – 11, ბათუმის საქალაქო სასამართლომ – 5, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ – 1, ფოთის საქალაქო სასამართლომ – 1, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ – 1, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ – 2, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ – 2).

#### 2. სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების ანალიზი

##### 2.1. საპროცესო კანონმდებლობის დარღვევები

სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 105-ე მუხლი):

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-464-11 15.07.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-79/11 30.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გააქარწყლა სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, არ გადმოსცა განჩინებაში სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი არგუმენტაციის

იურიდიული დასაბუთება, რითაც დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ ობიექტურად დადგენისა და კანონიერი შეფასებების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება – განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. სააპელაციო ინსტანცია ვალდებულია შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №1432-1414(კ-11) 07.02.12).

– ანალოგიური საქმეები: №769-744(2კ-10), 26.01.12; №ბს-1552-1531(კ-11) 15.05.12; №ბს-132-131(3კ-12) 06.12.12; №1423-1405(კ-11) 19.04.12; №1756-1724(კ-11) 27.03.12.

იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/2221-09 11.03.10; №3ბ/1077-11 22.07.11);

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/730-2011 25.11.11; №3ბ/355-11 28.06.11; №3ბ/712-2011 28.09.11).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1878-08 14.08.09); მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/91-10 31.03.11); ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/78 24.06.11); ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/242-10 21.02.11; საქმე №3-121 29.06.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 385.2 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/468-2011 22.06.11) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/84-09 01.12.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქმე ისე განიხილა, რომ არ გამოიყენა სსკ-ის 385.2 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება თავად იმსჯელოს სადავო საკითხზე, რამდენადაც რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სსკ-ის 385.1 მუხლით განსაზღვრულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც უპირობოდ შექმნიდა ამ უკანასკნელის მიერ საქმის ხელახლა განხილვის პროცესუალურ წინაპირობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1442-1424(კ-11) 24.01.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-275-271(2კ-12) 14.06.12.

იგივე შეცდომაა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1442-11 24.11.11).

**ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/3592-09 05.07.11).**

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-4 და მე-17 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1849-11 03.11.11) გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/158-11 28.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მტკიცების ტვირთი დააკისრა მხოლოდ მოსარჩელეს და მითითებული ვალდებულებისაგან გაათავისუფლა პროცესის დანარჩენი მონაწილეები მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ პროცესში ასკ-ის მე-4 და მე-17 მუხლების შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპით სარგებლობენ არა მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე, არამედ ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებიც.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი ასევე მოიცავს ფაქტების მითითების ტვირთსაც. თითოეულმა მხარემ უნდა მიუთითოს თავის სასარგებლოდ მოქმედ გარემოებებზე და თუ იგი სადავო გახდება, უნდა დაამტკიცოს ამ გარემოებების არსებობა. სასამართლომ უნდა წარმოადგინოს დამატებითი მოტივაცია და მიუთითოს რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ასაბუთებს თავის მოსაზრებას. ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შესაბამის მტკიცებულებებს და მათ სწორ სამართლებრივ შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1739-1708(კ-11) 02.05.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-1227-1213(კ-11) 01.02.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1044-11 29.06.11).

**ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1027-11 27.04.11).**

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 17.2, მე-4 და მე-19 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1366-11 26.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1469-11 30.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ასკ-ის 17.2 მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ასკ-ის 17.2 მუხლი ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოიპოვოს დამატებითი მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-97-97(კ-12) 05.06.12).

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-1815-1783(კ-11) 12.12.12; №1657-1629(კ-11) 29.05.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1670-11 02.11.11; №3ბ/1472-11 22.09.11).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1948-11 26.07.11); მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/55-11 08.06.11).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1514-11 06.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/863-11 24.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილება და არ დაადგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა კანონიერ ძალაში შესულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.07.05წ. გადაწყვეტილებასთან.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 17.7 და სსკ-ის მე-10 მუხლების თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებას კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გააჩნია სავალდებულო ძალა ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად ნებისმიერი პირისათვის, ზოლო სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა უსაგნოს ხდის სააღსრულებო წარმოებას, რასაც შედეგად მოსდევს მართლმსაჯულების აღუსრულებლობა. ამდენად, მხოლოდ აღნიშნული განმსაზღვრელი მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1689-1661(კ-11) 05.06.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-818-812(კ-11) 22.02.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/155-11 09.03.11).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/4211-10 30.11.10).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს კონსტიტუციის 82-ე და სსკ-ის მე-10 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1348-11 26.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/630-11 08.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ არქიტექტურის სამსახურს არ ჰქონდა ვალდებულება ტოპოგეოდეზიური ნახაზის წარდგენის გარეშე გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მაშინ, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით არქიტექტურის სამსახურს დაევალი ნაკვეთის საზღვრების კორექტირება. ამდენად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლისა და სსკ-ის მე-10 მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს. ამასთანავე, სადავო

აქტებში და სასამართლოს განჩინებაში არ იყო საუბარი კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობაზე ფაქტობრივი გარემოების ან/და სამართლებრივი საფუძვლის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და არქიტექტურის სამსახურისათვის დაავალა დაკისრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ქმედების განხორციელება (გადაწყვეტილება №ს-1799-1767(კ-11) 28.12.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-1658-1630(კ-11) 06.12.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1235-11 13.09.11);

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1484-09 07.04.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, 105.2 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-538-11 19.10.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-395/09 26.03.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და არ გაითვალისწინა, რომ სადავო მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მხარეებს შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა. ასევე სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რის გამოც დაარღვია სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 105.2 მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ სსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ მტკიცებას არ საჭიროებს. ამგვარ ფაქტებს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი – სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისად, არ მისცა მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №1762-1730(კ-11) 27.12.12).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 32.4. მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1026-2011 26.12.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/261/11 10.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სამართლებრივ შეფასებას აძლევს იმ სახის მტკიცებულებებს, რომლებიც სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს განხილვისა და შეფასების საგანი არ ყოფილა. ასევე სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 32.4. მუხლი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ასკ-ის 32.4. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება.

შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საპროცესო კანონმდებლობით არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა, რაც გულისხმობს, რომ ყველა მტკიცებულება ექვემდებარება გამოკვლევას და შეფასებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება საერთოდ უშინაარსოდ მიიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-184-182(კ-120 14.06.12).

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-558-548(კ-12) 21.11.12; №ბს-324-320(კ-12) 06.11.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/492-12 24.04.12; №3ბ/11-12 25.01.12);

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/8601-11 24.02.12; საქმე №3/1102-11 29.11.11).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 70–78-ე მუხლები, სსკ-ის 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-615-11 01.08.11) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/47-11 31.05.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქმეში დაცული არ იყო შესაბამისი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა განმცხადებლისათვის სასამართლო უწყების სსკ-ის 70–78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარების ფაქტს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მოპასუხის დაუსწრებლად, რითაც დაარღვია სსკ-ის 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასკ-ის მე-4 მუხლის თანახმად მოდავე მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებით – განკარგონ პროცესუალური საშუალებები, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნის დასასაბუთებლად და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადგენა-დადასტურების მიზნით. სწორედ მითითებული პრინციპის დაცვას ემსახურება სსკ-ის 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი. მითითებული საპროცესო დარღვევა თვით კანონმდებლობის მიერ შეფასებულია ისეთი ტიპის დარღვევად, რომელიც უცილოდ იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას და აღნიშნული დამოკიდებული არ არის სასამართლოს შეხედულებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1524-1503 (კ-11)01.02.12).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 215.3 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-375-2011 07.06.11) ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-279/10 23.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აპელანტის გამოუცხადებლობა მიიჩნია არასაპატიოდ იმ საფუძვლით, რომ საქმეს არ ერთვოდა სსკ-ის 215.3 მუხლით გათვალისწინებული ავადმყოფობის დამადასტურებელი მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ პროცესის წინა დღეს დაურეკა მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, რომ ვერ გამოცხადებოდა სასამართლო პროცესზე ავადმყოფობის გამო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დებულება არ უნდა განიმარტოს სიტყვასიტყვით. სასამართლოს განმარტებით, მართალია, ცნობაში პირდაპირ არ იყო მითითებული მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობა, მაგრამ დასტურდებოდა, რომ ამბულატორიულად მკურნალობდა პოლიკლინიკაში. აქედან იგულისხმება, რომ მოსარჩელეს შეზღუდული ჰქონდა გადაადგილების შესაძლებლობა და ვერ შეძლებდა დანიშნულ პროცესზე გამოცხადებას, რის შესახებაც არაერთხელ გააფრთხილა სააპელაციო პალატა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1422-1404(კ-11) 28.02.12).

**სასამართლოს შეცდომა (ასკ-ის 22-25-ე და 28<sup>1</sup>-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/707-11 14.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4365-06 09.07.07) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქტი გამოცემული იყო თუ არა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, არ გაითვალისწინა, რომ დავის მართებულად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს უკანონო და არარა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და დავა ადმინისტრაციული სარჩელის სახეების და აქტის არარა და ბათილობის საფუძველების აღრევით განახორციელა. ასევე სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ასკ-ის 26<sup>2</sup>-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს განმწესრიგებელ სხდომაზე ასკ-ის 22-25-ე მუხლებთან ადმინისტრაციული სარჩელის შესაბამისობის საფუძველებს. სარჩელის სახის შეუსაბამობის პირობებში მოსამართლეს ენიჭება პროცესუალური უფლებამოსილება მიუთითოს მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის ანუ სარჩელის ერთი სახის სხვა სახის სარჩელად გარდაქმნისაკენ. ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1477-1459(2კ-11) 24.01.12)

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-1757-1725(კ-11) 03.05.12; №ბს-586-576(2კ-12) 06.12.12.

იგივე შეცდომა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3/ბ-682-11 07.10.11); თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/368-12 02.05.12);

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/78-10 31.05.10); თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1878-08 14.08.09).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 172-ე და ასკ-ის 32.4 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/530-12 15.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/84-12 06.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამებოდა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს, სადავო გადაწყვეტილებები მიღებულია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე მაშინ, როდესაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ იყო შეფასებული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მიშენების დემონტაჟი, შენობის დეტალური ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის და მისი გამაგრების გარეშე არ არის მიზანშეწონილი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს დემონტაჟის შემთხვევაში რამდენად შეექმნება საფრთხე ძირითადი შენობის ტექნიკურ მდგომარეობას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ყველა მტკიცებულების შეფასებისას დასკვნა უნდა ჩამოაყალიბოს ზაკ-ის მე-7 მუხლით გათვალისწინებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-652-638(კ-12)24.09.12**).

– ანალოგიური საქმეა №ბს-593-588(კ-11) 21.11.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/2363-10 29.12.10).

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/2648-08 07.07.10).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 172-ე და 105-ე მუხლები):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-718-11 29.09.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/193-2011 15.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაიზიარა საქმეზე ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა იმ არგუმენტაციით, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილების 1.36 პუნქტი ეხებოდა არა ერთსართულიან შენობებს, არამედ მრავალსართულიანი სახლის პირველ, მეორე და ცოკოლის სართულებში განთავსებულ ობიექტებს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ სასამართლოს უარი დასკვნის მიღებაზე დასაბუთებული უნდა იქნეს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში. ასეთ პირობებში სასამართლოს შეფასება უნდა იყოს დასაბუთებული, არგუმენტირებული და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებზე დაფუძნებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №-1666-1638(კ-11) 16.05.12**).

**სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 162-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/443-11 29.03.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4370-10 10.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა სსკ-ის 162-ე მუხლით მინიჭებული საპროცესო

უფლებამოსილება და მხოლოდ სსიპ სამშენებლო მექანიკისა და სეისმოძველების ინსტიტუტის წერილსა და საქმის სხვა მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა სამშენებლო ნორმების დაცვით და მიუხედავად ავარულობისა, მინდინარე მშენებლობით მომიჯნავედ არსებულ სახლს ზიანი არ ადგებოდა. აღნიშნული ფაქტი არ შეიძლება გახდეს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დანიშნოს დამატებითი სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო შეფასებები არ იყო საკმარისი დავის გადაწყვეტისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №1015-1007(კ-11) 18.07.12).

#### **სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 248-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1491-11 18.10.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-50-10 28.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა სკ-ის 312-ე და 185-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია სადავო ფართზე მესამე პირის საკუთრების უფლების არსებობა მაშინ, როცა დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება, ამით დაარღვია სსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ნაცვლად ადმინისტრაციული დავისა, გადაწყვიტა სამოქალაქო-სამართლებრივი საკითხი მოსარჩელესა და მესამე პირებს შორის. ამდენად მისი მსჯელობა გასცდა საპროცესო ნორმების დანაწესს სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად თავი აარიდა სადავო აქტების კანონიერების შეფასებას და დავის საგნის მიმართ გადაწყვეტილება არ დაუდგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-61-61(კ-12) 05.06.12).

#### **სასამართლოს შეცდომა (სსკ-ის 53-ე მუხლი და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/794-11 30.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/753-07 11.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სსკ-ის 53-ე მუხლის და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის არასწორი განმარტების შედეგად მიიჩნია, რომ საპროცესო წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების გამოთვლა უნდა მოხდეს მოგებული დავის საგნის ღირებულების არა უმეტეს 4 პროცენტის მიხედვით და არა ზოგადად სარჩელში მითითებული დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტის მიხედვით.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით დაადგინა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზე იყო არაქონებრივი დავიდან წარმოშობილი ქონებრივი დავა და მხარეს უნდა დაეკისროს ანაზღაურება სსკ-ის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების საფუძველზე. ასევე ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ფაქტობრივად

გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ხოლო ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში მხარის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოს თვითონ შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხეებს დააკისრა მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-1330-1315(კ-11) 09.02.12).

## 2.2. მატერიალური კანონმდებლობის დარღვევები

### სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-4 და 96-ე მუხლები):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1110-11 19.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1390-2011 27.05.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას კანონიერად ცნო სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული იქნა სზაკ-ის მე-4 და 96-ე მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ საჭიროდ მიიჩნია სადავო აქტების ბათილად ცნობა და საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნება, ვინაიდან მესამე პირის სახელზე განხორციელებული სადავო ჩანაწერით არ გაუქმებულა მოსარჩელის სახელზე არსებული ჩანაწერი. ამდენად, შეიქმნა ერთსა და იმავე ობიექტზე ორი ჩანაწერის კონკურენცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და არქიტექტურის სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1485-1467(კ-11) 16.05.12).

### სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლი):

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1625-11 19.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1063-11 23.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ უსაფუძვლო იყო მოთხოვნა სადავო ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც იგი ირიცხებოდა ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარდგენილ, საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიებში ასევე ვერ დაადასტურა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ქმედებისა და გასაჩივრებული ბრძანების კანონით დადგენილი ბათილად ცნობის საფუძველები. ამდენად, არ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლით დადგენილი სამართლებრივი საფუძველები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარის მოთხოვნის უარყოფა ან დადასტურება უნდა მოხდეს კანონის ნორმებზე მითითებით და მასთან შესაბამისობით. ვინაიდან მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებდა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე, ასეთ პირობებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო განეხორციელებინა ადმინისტრაციული წარმოება, დაედგინა არსებობდა თუ არა პირის დაზუსტებულ სიაში შეყვანისა და კომპენსაციის გაცემის საფუძველი და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ მიეღო

აქტი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით დაადასტურებდა ან უარყოფდა მოთხოვნის საფუძველიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1706-1678(კ-11) 08.05.12).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-419-2011 16.11.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/285-10 04.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ისე გაიზიარა მოპასუხე მხარის მსჯელობა მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძველობის თაობაზე, რომ სათანადო შეფასება არ მისცა სადავო მიწის ნაკვეთზე მოპასუხეების სახელზე განხორციელებული საკუთრების უფლების რეგისტრაციის კანონიერებას. ასევე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად არ იქცა ის გარემოება, რის საფუძველზეც აღმოჩნდა მოპასუხის საკუთრებაში საერთო სარგებლობის მიწის ფართი, რომელსაც მოსარჩელემ წლების განმავლობაში იყენებდა ბენზოგასამართ სადგურთან დასაკავშირებლად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოსარჩელე აღიარა დაინტერესებულ პირად და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სადავო ფართის ფლობის ფაქტი, გამორიცხავდა ფაქტობრივი მფლობელობის საფუძველით სადავო მიწის ნაკვეთზე მოსარჩელების საკუთრების უფლების რეგისტრაციას. მოსარჩელე არ ამტკიცებდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი მისი საკუთრებაა, იგი ითხოვდა სადავო ფართი დარჩეს საერთო სარგებლობაში და დავობდა საერთო სარგებლობის უფლების უზრუნველყოფაზე ბენზოგასამართ სადგურთან მისასვლელ გზაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-115-114(კ-12) 21.06.12).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 73.9 „ა“ ქვეპუნქტი და 168.1 მუხლის „ვ.გ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-729-12 19.06.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/ბ-9743-11 19.03.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ არ არსებობდა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი მაშინ, როდესაც საგადასახადო ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას და დასკვნის გამოტანისას არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ.გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, არ გამოარკვია, არსებობდა თუ არა მოსარჩელის მიმართ საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.გ.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათის არგამოყენების საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საგადასახადო ორგანომ საკითხის ხელახალი განხილვისას უნდა გაითვალისწინოს, რომ მოსარჩელემ წილის მიწოდებამდე აღნიშნული წილი დატვირთა (დააგირავა) კომპანია „იბიარდისგან“ მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად. ამდენად, აღნიშნული გარემოების შეფასების საფუძველზე საგადასახადო ორგანომ უნდა გამოიტანოს დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ

კუთვნილი წილის გამოყენება სესხის უზრუნველყოფის საშუალებად, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ მოსარჩელე წილის მიწოდებაზე ცოტა ხნით ადრე მას იყენებდა ეკონომიკურ საქმიანობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-631-619(კ-12) 24.09.12).

**სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ კანონის 22<sup>1</sup>-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1158-11 09.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1259-11 25.05.11) სააპელაციო საჩივრის განხილვისას კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობის კანონიერების შემოწმებისას არ გაითვალისწინა, რომ სადავო აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადავო აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადავო აქტები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება. ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც აუძღობს სამართალ დამრღვევი პირის მდგომარეობას, ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით შეამცირა დაკისრებული ჯარიმის ოდენობა კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად (გადაწყვეტილება 12-12(კ-12) 02.05.12).

– ანალოგიური საქმეები: №ბს-1807-1775(კ-11) 14.06.12; №ბს-198-196(2კ-12) 21.06.12; №ბს-204-202(3კ-12) 14.06.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1769-11 16.11.11; №3ბ/2228-11 26.01.12; №3ბ/2136-11 18.01.12);

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/2339-11 25.08.11; საქმე №3/7680-11 24.11.11; საქმე №3/2819-11 24.10.11).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-9 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1845-11 22.11.11) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/148-11 19.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას კანონიერად ცნო სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ აღნიშნული აქტით შეიღობა ბინათმშენებლობის ამხანაგობის საკუთრების უფლება. ასევე სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – კანონიერი ნდობის პრინციპი, არ დაადგინა, ვრცელდება თუ არა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი სადავო მიწის ნაკვეთზე, არ იმსჯელა მოსარჩელის მტკიცებაზე, რომ სადავო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულია ათეული წლების წინ და სახეზე იყო ზაკ-ის მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრმა თავისი ინიციატივით ისე, რომ არავის მიერ არ ყოფილა წარდგენილი რაიმე სახის საჩივარი, გააუქმა საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თანაც აღნიშნულზე არ ჩაატარა შესაბამისი სახის წარმოება და არ უზრუნველყო მესაკუთრის წარმოებაში მონაწილეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №122-121(კ-12) 19.06.12**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მე-5 და მე-6 ნაწილები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2206-10 09.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1089-07 11.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელებს ბათილად ცნობილი დადგენილების მიმართ არ გააჩნდათ კანონიერი ნდობა, ვინაიდან, მათ არ განუხორციელებიათ რაიმე სახის იურიდიული მოქმედებები ასევე არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელებს საკუთრებაში გადაეცათ ასაშენებელი ბინები და ის ფაქტი, რომ მოსარჩელებმა არ გაასხვისეს აღნიშნული დადგენილებით მათთვის მინიჭებული სამომავლო უფლებები, არ გამორიცხავდა მათი კანონიერი ნდობის არსებობას გაუქმებული დადგენილების მიმართ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, უდავოდ მიიჩნია სადავო აქტის მიმართ მოსარჩელეთა კანონიერი ნდობის არსებობა, რაც გამორიცხავდა მის ბათილად ცნობას. ამასთანავე ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობა ადრესატისათვის ქონებრივი კომპენსაციის გადახდის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილებები №ბს-177-175(კ-11) 09.02.12**).

– ანალოგიური საქმეები: №ბს-1546-1525(კ-11) 01.03.12; №ბს-1153-1142(კ-11)28.03.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/872-11 21.06.11; №3ბ/445-11 24.05.11).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/3898-10 30.03.11; საქმე №3/5148-10 09.02.11).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1077-2010 25.02.11) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/103-10 01.12.10) გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმებისას მიუთითა მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ იჯარის ხელშეკრულების დადებით დაირღვა „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის 3.4 მუხლით გათვალისწინებული მიწის განკარგვის წესი, თუმცა არ შეაფასა სახელმწიფო ორგანოს მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევით სახელმწიფო ქონების განკარგვა რამდენად წარმოადგენდა დაინტერესებული მხარის უფლების უპირობოდ გაუქმების საფუძველს, მით უფრო, რომ მოქმედი კანონმდებლობა იცავს დაინტერესებული პირის კანონიერი ნდობის უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მიმართ.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ამ აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის არსებობისას და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას დაცული იქნა თუ არა ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1176-1165(კ-11) 06.12.12**).

**სასამართლოს შეცდომა („უძრავი ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის „კ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1671-11 11.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1873-11 03.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიუთითა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მასსა და თვითმმართველი ერთეულის მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიურობის ფაქტი და მიიჩნია, რომ დაუზუსტებელი რეგისტრაციის არსებობის პირობებში ვერ დგინდება მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა და ფართობი და საკადასტრო მონაცემები, რადგან მხარემ არ წარმოადგინა „უძრავი ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სადავო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა – ამონაბეჭდი საკადასტრო რუკიდან და წარმოადგინა მხოლოდ საკადასტრო აზომებითი ნახაზი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს ფაქტი იმის თაობაზე, აქვს თუ არა ადგილი მიწის ნაკვეთების იდენტიურობას და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სხვადასხვა პერიოდში ერთი და იგივე მიწის ნაკვეთის განკარგვას. ასევე არსებობს თუ არა მათ შორის გადაფარვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №1732-1701(კ-11) 27.11.12**).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1367-11 27.09.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1342-11 11.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის ძველი რედაქციის გავრცელებაზე უარის თქმის მიუხედავად, გაავრცელა აღნიშნული მუხლის ახალი რედაქცია საბაჟო სამართალდარღვევებზე, ამასთანავე მიიჩნია, რომ ნორმის ახალ რედაქციას არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება და ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ სანქციის შეფარდებისას არ შეაფასა სამართალდარღვევის ჩადენის საშუალების – ავტომანქანის ჩამორთმევის მართლზომიერება, ბათილად ცნო ადმინისტრაციული ორგანოს

აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1655-1627(კ-11) 11.04.12).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლი):** ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1071-2011 20.12.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/426-2011 04.11.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სამართალდარღვევის აქტი კანონიერების შემოწმებისას, არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სამართალდამრღვევი პირის გარდაცვალების ფაქტი გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაძლებლობას და აღნიშნული მუხლის შესაბამისად დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადრესატის გარდაცვალების ფაქტი გამორიცხავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაძლებლობას, ხოლო სხვა პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი განხილვის საგანს არ წარმოადგენდა. საკასაციო პალატამ ბათილად ცნო სადავო აქტები გარდაცვლილი პირის მიმართ და შეწყვიტა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება (გადაწყვეტილება №ბს-253-250(კ-12) 27.11.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 312-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1747-09 15.10.10) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/25-09 16.07.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სკ-ის 312-ე მუხლზე დაყრდნობით არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მიწის ნაკვეთზე მიღება-ჩაბარების აქტების ბათილად ცნობის შესახებ, არ გამოარკვია, რომელ მხარეს გააჩნდა საკუთრების უფლების რეგისტრაციის უპირატესი უფლება, არ დაადგინა, ჰქონდა თუ არა ადგილი სადავო მიწის ნაკვეთების იდენტურობას და უფლებამოსილი ორგანოს მიერ სხვადასხვა პერიოდში ერთი და იგივე მიწის ნაკვეთის განკარგვას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, მოდავე მხარე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მისი რეგისტრაცია მოპასუხისგან განსხვავებით ემყარება უპირატეს სამართლებრივ საფუძველს და მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია არა მხოლოდ რეგისტრაციის ქრონოლოგიაზე, არამედ მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და კანონიერებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-270-267(კ-11) 16.05.12).

**სასამართლოს შეცდომა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1774-10 10.11.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/10-09 25.06.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები და სარჩელი უარყო ფორმალური ნიშნით ისე, რომ არ შეამოწმა მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგანია, გამოარკვიოს, გააჩნია თუ არა ასეთივე ან იგივე იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი საფუძველი მოპასუხეების სახელზე განხორციელებულ რეგისტრაციას. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ მხარეთა უფლების დაცვისა და დავის არსებითად სწორად გადაწყვეტისათვის, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რა ოდენობის მიწის ნაკვეთს ფლობდა თითოეული მოდავე მხარე და არსებობდა თუ არა თანხვედრა ამ მიწის ნაკვეთების ფართსა და სოფელ დილომში არსებულ ზღვრულ ნორმას შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-281-278(კ-11) 23.05.12).

**სასამართლოს შეცდომა („ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/949-11 17.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4860-10 29.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სწორად და კანონიერად შეეფარდა მოსარჩელეს „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა უნებართვო მშენებლობისათვის. ის გარემოება, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთი მასზე განხორციელებულ უნებართვო მიშენებასთან ერთად საკუთრებაში გადაეცა სხვა პირს, არ გულისხმობდა უნებართვო მშენებლობის ლეგალიზაციას ანუ კანონიერად გამოცხადებას და არც საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ასეთ შემთხვევაში არ აბათილებდა უნებართვო (უკანონო) მშენებლობის არსებობის ფაქტს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ არსებითად მიიჩნია სასამართლოს მხრიდან მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მის საკუთრებაში აღრიცხვა და შემდგომ არსებული სახით მესამე პირზე პირდაპირი მიყიდვის გზით საკუთრებაში გადაცემა უთანაბრდებოდა თუ არა განხორციელებული მშენებლობის კანონიერად ცნობას (ლეგალიზებას). ამასთან აღნიშნა, რომ „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-8 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ არსებობს გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1370-1353(2კ-11) 01.02.12).

**სასამართლოს შეცდომა („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-60 მუხლი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/225-12 21.03.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე № 3/6635-11 07.12.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა – „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების მე-60 მუხლი 2008 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით. ამასთან, არასწორად განმარტა და გამოიყენა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8, მე-10 და 33-ე მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო მშენებლობის განხორციელების დროს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მშენებლობის დასტურის მიუღებლობას, როგორც უნებართვო მშენებლობას და შესაბამისად, მას არ აქცევდა სამშენებლო სამართალდარღვევათა კატეგორიაში. ასევე I კლასის შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია ნებადართული იყო ყოველგვარი შეტყობინების გარეშე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი გარემოებები გამორიცხავდა მოსარჩელის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენას, ვინაიდან, სახეზე არ იყო სამართალდარღვევის – შემადგენლობა მისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, რაც თავის მხრივ საფუძველს აცლის მის დაჯარიმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები დაჯარიმების შესახებ (გადაწყვეტილება №ბს-391-386(3კ-12) 15.11.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 70-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1553-10 29.10.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/152-10 25.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები. კერძოდ, ცალმხრივად დაეყრდნო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლების ზეპირ განმარტებებს და დაადგინა მოსარჩელის განცხადებაზე ხელმოწერისას მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მაშინ, როცა მოსარჩელეს მხედველობის მძიმე მდგომარეობის გამო მკვეთრი შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი ჰქონდა, რითაც დაარღვია სკ-ის 70-ე მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 70-ე მუხლის შესაბამისად, პირს, რომელსაც არ შეუძლია გარკვეული მიზეზების გამო მოაწეროს ხელი დოკუმენტზე, შეუძლია ხელის მოწერა სხვას მიანდოს, მისი ხელმოწერა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით მოწმის ან ისეთი პირის თანდასწრებით, რომელსაც შეუძლია გააგებინოს მას საქმის არსი და დაადასტუროს თავისი ხელის მოწერით, რომ გარიგების შინაარსი შეესაბამება ბრმა, ყრუ, მუნჯი ან ყრუ-მუნჯი მხარის ნებას. სასამართლოს არ დაუდგენია ხელმოწერის ფაქტით რა გარემოებებს ეთანხმება განმცხადებელი. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სხდომის ოქმის მიხედვით, არ ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია ეს ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, რამდენად იყო სათანადოდ ინფორმირებული მოსარჩელე მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-277-274(კ-კს-11) 29.05.12).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1512-11 18.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3288-10 07.07.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 2004 წლის საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლში 2010 წლის 23 მარტის კანონით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლა სწორედ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებასთან იყო დაკავშირებული.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები გავლენას არ ახდენენ ფიზიკურ პირებზე, ვინაიდან, საგადასახადო კანონმდებლობა ფიზიკურ პირებთან მიმართებაში აღნიშნულ ცვლილებებამდე ისედაც ითვალისწინებდა ქონებაზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების გადასვლას ახალი მფლობელის მიმართ. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააფუძნა საკუთარი დასაბუთება საგადასახადო კოდექსში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და არ დააკმაყოფილა სარჩელი საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების განხორციელების დავალდებულების თაობაზე (**გადაწყვეტილება №34-34(3კ-12) 14.06.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/196-11 04.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/534-2010 29.10.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ საიჯარო ხელშეკრულების წარმოუდგენლობა ეჭვქვეშ აყენებს მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობის არსებობას. ასევე საქმეზე წარმოდგენილი სალაროს შემოსავლის ორდერები არ იყო შედგენილი საგადასახადო კოდექსის 93-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისად, ისინი არ უნდა ჩათვლილიყო ხარჯის გაწევის დამადასტურებელ საბუთად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ შეამოწმა საქმეში წარმოდგენილი სალარო შემოსავლის ორდერები, როგორც ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის შედეგადაც უსაფუძვლოდ მიიჩნია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მითითებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-1119-1108(კ-11) 21.03.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1731-11 02.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1791-11 01.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას შემოსავლების სამსახურის ბრძანების კანონიერების შემოწმებისას არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლი და მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს ჰქონდა სრული უფლება მოსარჩელის მიმართ გამოეყენებინა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება – ქონებაზე ყადაღის დადება, ვინაიდან გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული იყო შემოსულების აქტით დარიცხული საგადასახადო ვალდებულება. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შეწყდა იმ მოტივით, რომ სახელმწიფოს წინაშე დავალიანება არ შეადგენდა აქტში მითითებულ ოდენობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოების საგადასახადო აქტში მითითებული თანხის გასწორების პირობებში უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს მითითება მოსარჩელის მხრიდან დარიცხული თანხის აღიარების თაობაზე. ვინაიდან, დავის განხილვის პროცესში აქტის შეფასებისას გადამწყვეტია აქტის კანონიერება მატერიალური თვალსაზრისით, ხოლო პასუხისმგებლობის შეფარდების პროცესში სავალდებულოა, პასუხისმგებლობა დადგეს იმ გადაცდომისათვის და იმ ფარგლებში, რაც პირმა ჩაიდინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-1780-1748(კ-11) 06.06.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 12.23 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/1606-11 01.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/428-11 31.05.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ დარიცხვა მოხდა მეწარმის მიერ დეკლარირების საფუძველზე და საგადასახადო ორგანოს აქტების შეფასებისას არასწორად გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 12.23 მუხლი მაშინ, როდესაც სადავო აქტით ყადაღა დაედო აღიარებული საგადასახადო მოთხოვნის არსებობის გარეშე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დავალიანების უზრუნველსაყოფად ყადაღის გამოყენებისათვის აუცილებელი იყო მოსარჩელისათვის საგადასახადო მოთხოვნის წარდგენა, ამდენად ქონებას ყადაღა არა მართლზომიერად დაედო და არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები (**გადაწყვეტილება №ბს-1774-1742(კ-11) 07.11.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 247.4 და 248-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/943-11 27.09.11) ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/06-10 09.11.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიკვლია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი ასახავდა თუ არა რეალურად ჩადენილი გადაცდომის ფაქტს, არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 247.4 და 248-ე მუხლები და მიუთითა, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შევსებისას დაშვებული უზუსტობა, თუნდაც ტექნიკური, არ გამორიცხავდა პასუხისმგებლობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლი არ იძლევა მითითებას იმავე საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურაზე. საკასაციო სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია, საქონლის მიმწოდებლისათვის გადახდილი იყოს დღე, თანხა ასახული იყოს დეკლარაციაში და ანგარიშ-ფაქტურა წარდგენილი საგადასახადო ორგანოში, ხოლო ის გარემოება, რომ ანგარიშ-ფაქტურა გამოწერილია დავიანებით, როცა სახეზე არ იყო ანგარიშ-ფაქტურის სიყალბის ფაქტი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლევა ჩათვლის გაუქმების საკმარის საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე,

საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №1691-1663(კ-11) 08.06.12).

**სასამართლოს შეცდომა (საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/968-11 21.06.11) თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/23-11 31.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომელიც მოქმედებდა სადავო სამართლებრივი აქტის გამოცემის დროს, ანუ საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის ახალი რედაქცია და არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო პალატამ ისე ცნო სადავო საგადასახადო მოთხოვნა, საგადასახადო შემოწმების აქტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება კანონიერად, რომ არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლში 2008 წელს შეტანილი ცვლილება, რომლითაც შემცირდა საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისათვის საჯარიმო სანქცია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს არა საგადასახადო დაბეგვრა, არამედ საგადასახადო სამართალდარღვევა. საგადასახადო კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 131-ე და 140-ე მუხლების საფუძველზე მოსარჩელის დაჯარიმების ნაწილში გამოყენებულ უნდა იქნეს ასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-1296-1281(კ-11) 06.03.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-866-860(2კ-11) 26.01.12.

იგივე შეცდომაა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3/ბ-1059-10 22.02.11);

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/03-09 20.07.09).

**სასამართლოს შეცდომა (საბაჟო კოდექსის 242-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/896-11 07.06.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-241-10 24.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე. კერძოდ, საქონლის მცირე მოცულობაზე და ღირებულებაზე, მოსარჩელის მიერ სამართალდარღვევის პირველად ჩადენაზე, მის ოჯახურ მდგომარეობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ის გარემოება, რომ საბაჟო ორგანო სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არ გამოორიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, გაეთვალისწინებინა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების წესები სახდელის დაკისრებისას, მხედველობაში მიეღო მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში

გადაწყვეტილების მიღება ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეერჩია ყველაზე მისაღები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-1332-1317(კ-11) 28.03.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საბაჟო კოდექსის 47.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1862-11 10.11.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-44-11 07.06.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას დაჯარიმების აქტის კანონიერების შეფასებისას არ გამოარკვია სახეზე იყო თუ არა საბაჟო სამართალდარღვევის ფაქტი, წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე საბაჟო კოდექსის 238-ე და 246-ე მუხლებით განსაზღვრული სამართალდარღვევის სუბიექტს და არსებობდა თუ არა მის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი, ასევე არ გაითვალისწინა საბაჟო კოდექსის 47.1 მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ საბაჟო კოდექსის 232-ე და 233.1 მუხლების შესაბამისად განმარტა, რომ სამართალდარღვევის დროს გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარდა საჭიროა სახეზე იყოს ის კონკრეტული სუბიექტი, რომელმაც ჩაიდინა სამართალდარღვევა და რომლის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, წინააღმდეგ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ გამორიცხა პირის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტები და შემოსავლების სამსახურს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (**გადაწყვეტილება №ბს-1686-1658(კ-11) 23.05.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საბაჟო კოდექსის 232-ე და 233.1 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/09-12 08.02.12) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-117-10 25.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას არ გაითვალისწინა საბაჟო კოდექსის 232-ე მუხლის და 233-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, არ დაადგინა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი სუბიექტი, სწორად არ შეაფასა ექსპერტიზის დასკვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დადგენისათვის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარდა საჭიროა სახეზე იყოს ის კონკრეტული სუბიექტი, რომელმაც ჩაიდინა სამართალდარღვევა და უდავოდ იყოს დადგენილი მისი ბრალეულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირის მიმართ პასუხისმგებლობის გამოყენება დაუშვებელია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს ისე შეეფარდა საჯარიმო სანქცია, რომ არ ყოფილა დადგენილი რეალურად მან შემოიყვანა თუ არა ავტოსატრანსპორტო საშუალება საბაჟო ორგანოში და მოაწერა თუ არა ხელი აღრიცხვის მოწმობას. ამდენად, საერთოდ არ ყოფილა გამოკვლეული მისი ბრალეულობის საკითხი, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის

სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები (გადაწყვეტილება №310-306(კ-12) 12.07.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1513-ე მუხლი და „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №48 დადგენილების მე-5 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1175-11 08.09.11) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/172-10 28.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სკ-ის 1513-ე მუხლის და „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №48 დადგენილების მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩელის უარყოფის შემთხვევაში, ცალსახად უნდა გამოირიცხოს საკუთრების უფლების ხელყოფის შესაძლებლობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია შემოწმდეს, სადავო სახლი მდებარეობს თუ არა იმ მიწის ნაკვეთზე, რომლის რეგისტრაციასაც კასატორი ითხოვს, ხომ არ იმყოფება სახლი მე-3 პირის საკუთრებაში, არსებობს თუ არა სახლზე უფლებადამდგენი რაიმე დოკუმენტი, ვინ იყო (ან არის) კომლის უკანასკნელი წევრი და არის თუ არა კასატორი სახლის მართლზომიერი მფლობელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1651-1623(კ-11) 11.04.12).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 13.1 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-393-2011 29.07.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4-2011 18.03.11) სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოპასუხეს არ გააჩნდა მიწათსარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც არ იძლეოდა მის სახელზე რეგისტრაციის განხორციელების საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ მიერ გამოყენებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დანაწესი იმის თაობაზე, რომ სარეგისტრაციო ობიექტზე რამოდენიმე თავისი შინაარსით ურთიერთგამომრიცხავი რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ უფლებას, რომელიც სხვა უფლებაზე ან უფლებებზე ადრე იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხის სახელზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმების საკმარის საფუძველს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც პრივატიზაციის კანონიერება დადასტურებული იყო თავად სააპელაციო სასამართლოს მიერ და სადავო არ იყო პავილიონის გასხვისების მომენტში მიწაზე სახელმწიფო საკუთრების ფაქტი, ამასთანავე პავილიონი იყო ამ მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა შესაბამისი მოტივაციით მიწისა და პავილიონის სხვადასხვა უფლების ობიექტებად დარეგისტრირების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1436-1418 (კ-11) 26.04.12).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანება):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3პ/1094-11 19.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/862-2011 27.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონი და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანება და მიიჩნია, რომ სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება არ აყენებდა პირდაპირ და უშუალო ზიანს მოსარჩელის საკუთრების უფლებას და არც არანაირად ზღუდავდა მას, რადგან მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ძალაში იყო და მას ჰქონდა მინიჭებული დამოუკიდებელი საკადასტრო კოდი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წინამდებარე დავის გადაწყვეტის პროცესში მართლოდენ საიდენტიფიკაციო კოდზე მითითება არ იძლეოდა იმის მტკიცების საფუძველს, რომ დავა შეეხებოდა სხვადასხვა უძრავ ნივთს. როგორც საქმის მასალებიდან იკვეთებოდა, მესამე პირის სახელზე სადავო ობიექტი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო პირველადი რეგისტრაციით, ხოლო დავა ეფუძნებოდა სწორედ იმ გარემოებას, რომ უფლების რეგისტრაციის მომენტში ბინას მიენიჭა სხვა კოდი, რამაც განაპირობა უფლებრივად დატვირთული ნივთის სხვა პირზე აღრიცხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1471-1453(კ-11) 16.05.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 150-ე მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-717-11 28.09.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/185-11 13.05.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა საქმის მტკიცებულებები, როცა აღნიშნა, რომ ჯიხური არ წარმოადგენდა უძრავ ნივთს და არასწორად განმარტა სკ-ის 150-ე მუხლის მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ სკ-ის 149-ე და 150-ე მუხლების საფუძველზე განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. შენობა შესაძლოა იყოს ცალკე უფლების ობიექტი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და სარეგისტრაციო სამსახურს დაავალა ჯიხურსა და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია (გადაწყვეტილება №ბს-1671-1643(კ-10) 26.04.12).

**სასამართლოს შეცდომა („სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-1015-11 05.04.12) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/248-2011 30.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობაზე. კერძოდ, მოსარჩელე წარმოადგენდა თუ არა სუბიექტს, რომელიც კანონის საფუძველზე სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულებისგან თავისუფლდებოდა ან სამხედრო

სარეზერვო სამსახურის ნაცვლად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ უნდა შეაფასოს რამდენად წარმოადგენდა მოსარჩელე „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე სუბიექტს, რომელსაც სამხედრო სარეზერვო სამსახურის ნაცვლად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის მოთხოვნის უფლება ჰქონდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადავო ადმინისტრაციული აქტები და სამხედრო სამსახურს დაავალა მოსარჩელის მიმართ სამხედრო სარეზერვო სამსახურის ნაცვლად არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის საკითხთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-477-471(კ-12) 20.09.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-1599-1575(კ-11) 09.02.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1152-11 20.07.11); ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/823-2011 29.04.11).

**სასამართლოს შეცდომა („საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 14.22 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2838-10 31.03.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/128-10 30.09.10) არ გაითვალისწინა „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 14.22 მუხლის მოთხოვნა, დაეყრდნო რა ექსპერტის დასკვნას, არ დაადგინა თუ რა ფართებისგან შედგებოდა სადავო ბინა, სად მდებარეობდა მოსარჩელის სახელზე რეგისტრირებული ფართი და ისე მიიღო მოსარჩელის გამოსახლებაზე გადაწყვეტილება, რომ არ დაადგინა, თუ როგორ მოექცა მოსარჩელეზე რიცხული ფართი კონსტრუქციულად სხვა ბინის ფართის ნაწილს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, რომ საქმის მასალებით დასტურდება, რომ ერთ ბინაში მოქცეული იყო ორი დამოუკიდებელი საკადასტრო კოდის მქონე, სხვადასხვა პირთა საკუთრებაში არსებული ფართები. დადგენას საჭიროებდა გარემოება, თუ რამდენად იყო შესაძლებელი მოვალის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა იმ უძრავი ქონებით, რომელიც სხვის საკუთრებას წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1118-1107(კ-11) 21.11.12).

– ანალოგიური საქმეა №ბს-1719-1688(კ-11) 30.05.12.

იგივე შეცდომა დაშვებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1281-11 12.10.11).

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/1350-11 28.06.11).

**სასამართლოს შეცდომა („საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1275-11 01.09.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/937-2011 30.05.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვერ ჩაითვლებოდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რადგან მისი დაბადების მონენტში მის მშობლებზე გადასახლების სამართლებრივი რეჟიმი აღარ მოქმედებდა და მათ შეეძლოთ სამშობლოში დაბრუნება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ისე მიიჩნია მოსარჩელის დაბადების პერიოდში მის მშობლებზე იძულებითი შეზღუდვების არარსებობის ფაქტი, რომ დამადასტურებელი საბუთი არ მოიპოვა.

**საკასაციო სასამართლომ განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის სწორად გადაწყვეტის მიზნით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილ იქნეს როდის და რომელი დადგენილების საფუძველზე გადასახლდნენ მოსარჩელის მშობლები ყაზახეთში, როდის განხორციელდა მათი სპეცკომენდატურიდან მოხსნა და სპეცკომენდატურიდან მოხსნის შემდგომ, მოსარჩელის დაბადების მომენტისათვის შეეძლოთ თუ არა მათ სამშობლოში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე დაბრუნება. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ გარემოების დადგენა თუ რა საფუძველზე გადასახლეს მოსარჩელის მშობლები ყაზახეთში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1576-1555(კ-11) 05.04.12).

**სასამართლოს შეცდომა („ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№ბპ/2202-10 15.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1992-10 14.07.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას და „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის განმარტებისას არ დაადგინა ნორმის ნამდვილი არსი, კანონმდებლის კონკრეტული მიზანი და კანონით გარანტირებული უფლებების წარმოშობის საფუძველები.

**საკასაციო სასამართლომ განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ხსენებული ნორმა წარმოადგენს ზოგად წესს, რომლის განხორციელების საშუალება კანონქვემდებარე აქტით რეგულირდება, იგი არ არის მიმართული მოქალაქეებისადმი და კონკრეტული ვადა გარდამავალი დებულების სახით მითითებული იყო იმის გამო, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეფექტურად მომხდარიყო მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულება და არ წარმოადგენდა მოქალაქეთა შემზღუდველ ნორმას. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელებს აქვთ უფლება ისარგებლონ იმ სოციალური გარანტიებით, რაც კანონის საფუძველზე მათ გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავალა მოსარჩელებსათვის 9 აპრილის დაზარალებულთა მოწმობების გაცემის, შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის აღდგენის უზრუნველყოფა და მიუღებელი სახელმწიფო გასაცემლის ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-520-515(კ-11) 15.11.12).

**სასამართლოს შეცდომა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№ბპ/569-11 14.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/190-2011 28.02.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, ე.ი. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არამხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების დროს, არამედ ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემოწმების პერიოდს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტების გასაჩივრება აჩერებს საჯარიმო თანხის გადახდის ვალდებულებას, ამასთანავე სადავო აქტების გასაჩივრების შემთხვევაში პირისათვის საბოლოო შედეგს იწვევს სასამართლო გადაწყვეტილება და არა სადავო აქტები, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ შესაძლებელია სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის შემდგომ მიღებული შეღავათიანი რეჟიმის გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებით განსაზღვრული ჯარიმა შემცირა 8000 ლარამდე (გადაწყვეტილება №ბს-1226-1212(კ-11) 16.05.12).

– ანალოგიური საქმეები: №ბს-126-125(კ-12) 12.06.12; №1211-1197(კ-11) 25.07.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1866-11 16.11.11; №3ბ/719-11 09.06.11).

ხოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/4238-11 30.09.11; საქმე №3/736-11 22.03.11).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 420-ე მუხლი, „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-4<sup>1</sup> პუნქტი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-687-11 14.09.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-217/11 26.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მხარეებმა თავისუფალი ნების გამოვლენით განსაზღვრეს პირგასამტეხლოს ოდენობა, რაც არ იყო შეუსაბამოდ მაღალი და ამიტომ არ არსებობდა მისი შემცირების საფუძველი, ასევე აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, ამავე დროს არ გაითვალისწინა სკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ XVI თავის მე-4<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურისთვის ჯარიმისა და პირგასამტეხლოს ერთობლივად დაკისრების შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს პირგასამტეხლოს ან მისი ნაწილის გადახდისაგან. სკ-ის 420-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში მხარეთა თავისუფლების მიუხედავად, სასამართლოს საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, როცა ამას საჭიროებს დაზარალებულის ინტერესები. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მარტო მოქალაქის ქონებრივი, არამედ ყველა სხვა პატივისცემის ინტერესი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და

არ დააკმაყოფილა თავდაცვის სამინისტროს სარჩელი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილება №ბს-1611-1585(კ-11) 26.01.12).

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-1410-1392(კ-11) 27.01.12; №ბს-1663-1635(კ-11) 26.01.11; №ბს-175-173(კ-12) 11.07.12; №ბს-569-564(2კ-11) 17.01.12.

იგივე შეცდომა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/612-11 28.07.11; №3/ბ-778-11 28.09.11; №3/ბ-957-2011 14.12.11); თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/1729-10 15/12/10).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია: ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/42-11 30.06.11), ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-329/11 26.08.11), ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3-306/11 06.10.11), ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ (საქმე №3/138-09 31.03.10).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 09 თებერვლის №48 ბრძანებულების 23-ე პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/541-11 29.04.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2726-10 18.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 09 თებერვლის №48 ბრძანებულება, რითაც მოსარჩელეს გადაუანგარიშდა სარჩო, ძალადაკარგული იყო, ზოლო 2007 წლის 24 მარტის №53 მთავრობის დადგენილება სარჩოს გადაანგარიშების წესს არ ითვალისწინებდა ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როცა სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მოსარჩელისათვის სარჩოს თანხის ოდენობის გაზრდისა და მის მიერ გაზრდილი სარჩოს თანხის მიღების ფაქტი, უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ მოქმედი ნორმატიული აქტებით არ არის განსაზღვრული შესაბამისი დანაწესი ასეთი უფლების რეალიზაციისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1052-1043(კ-11) 23.05.12).

– ანალოგიური საქმეებია: №ბს-885-878(კ-11) 23.05.12, №ბს-580-575(კ-11) 07.06.12; №ბს 540-535(კ-11) 07.06.12.

იგივე შეცდომა დაშვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ (№3ბ/542-11 07.04.11; №3ბ/2466-10 15.12.10; №3ბ/2475-10 13.01.11).

ზოლო გადაწყვეტილება მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ (საქმე №3/2724-10 18.02.11; საქმე №3/2478-10 28.09.10; საქმე №3/2725-10 28.09.10).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1507.1 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/578-11 10.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/5136-10 28.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ სკ-ის 1507-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე სადავო პერიოდის მიმართ ვერ გავრცელდებოდა აღნიშნული კოდექსით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმები. სარჩელი

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, რადგან არ იყო სახეზე მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის საჭირო საფუძველი – ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ აგრეთვე სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის კი საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელების შვილის სამშობლოს მოღალატედ ცნობა და მის მიმართ უკანონოდ განაჩენის გამოტანა, განეკუთვნება მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზეა მიზეზობრივი კავშირი სამხედრო პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის. ასევე სახეზეა ხელმყოფი პირის ბრალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და თავდაცვის სამინისტროს დააკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება (**გადაწყვეტილება №1107-1096(კ-11) 03.04.12**).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულება):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1045-11 19.07.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/364-11 13.04.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულება და მიიჩნია, რომ კომპენსაციის გაცემა გათვალისწინებული იყო მხოლოდ რკინიგზის ვაგონებში განთავსებულ დაზარალებული მოსახლეობისათვის, ხოლო მოსარჩელე არ წარმოადგენდა განკარგულებით განსაზღვრულ ფულადი დახმარების მიმღებ სუბიექტს მაშინ, როდესაც მოსარჩელე მიწისძვრის შედეგად დარჩა უსახლკაროდ, 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა კარავში და შეყვანილი იყო საკომპენსაციო თანხის გასაცემი ოჯახების სიაში.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 23.06.05წ. №264 განკარგულებით გათვალისწინებულ სუბიექტს და მიიჩნია, რომ მოპასუხეს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს კომპენსაციის გადახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხეს დააკისრა 5000 ლარის გადახდა (**გადაწყვეტილება №ბს-1465-1447(კ-11)02.05.12**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 27<sup>2</sup>-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/838-11 30.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/4260-10 11.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მასში შესული ცვლილებებით, მოიცავდა მეწარმე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებებს, რაც მის კომერციულ ინტერესებს უკავშირდებოდა და შესაბამისად, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის კანონისმიერი ვალდებულება მოპასუხეს

ხელშეკრულების მხარეთა თანხმობის გარეშე არ გააჩნდა. საკასაციო პალატამ გამოიყენა ზაკ-ის 27<sup>2</sup>-ე მუხლი და აღნიშნა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციას წყლის მდგომარეობის თაობაზე, რაც თავისთავად თავსდება გარემოს შესახებ ინფორმაციის კატეგორიაში და, შესაბამისად, განეკუთვნება ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გასაიდუმლოება კანონმდებლობით არის აკრძალული. ზაკ-ის 28-ე მუხლის და 42-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხეს დაავალა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა (**გადაწყვეტილება №ბს-1484-1466(2კ-11) 09.03.12**).

**სასამართლოს შეცდომა (ზაკ-ის 86.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1427-11 26.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/985-2011 25.05.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვა მოსარჩელების მონაწილეობის გარეშე და მხოლოდ მესამე პირების მონაწილეობით, არ მიიჩნია ადმინისტრაციული წარმოების წესების არსებით დარღვევად, რომლის არარსებობის პირობებშიც მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ ასევე არ იმსჯელა დაცული იყო თუ არა მესამე პირების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნის ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა ზაკ-ის 86.2 მუხლის შესაბამისად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზაკ-ის 194-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს დაცული იყო თუ არა მესამე პირების მიერ დაბადების სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა და არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული წარმოების ხელახლა ჩატარების დავალების წინაპირობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1810-1778(კ-11) 12.12.12**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 172-ე, 361.2 და მე-400 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/786-11 02.06.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/2761-06 16.03.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას სკ-ის 361.2 და მე-400 მუხლების არასწორი განმარტების საფუძველზე ჩათვალა, რომ მოპასუხემ დათქმულ ვადაში არ შეასრულა ვალდებულება ისე, რომ არ იმსჯელა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისას ვადის გადაცილების ბრალეულობის საკითხზე და არ დაადგინა, მოხდა თუ არა ფორმალურად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. გაურკვეველი დარჩა აგრეთვე ის, თუ რა იქნა გადანდილი მოპასუხის მიერ დაგვიანებით – საიჯარო ქირა თუ უძრავი ქონების გამოსასყიდი თანხა, ასევე არ იყო დადგენილი დაუფარავი თანხის ოდენობა. გარდა ამისა, სააპელაციო

სასამართლომ სკ-ის 172-ე მუხლის საფუძველზე ისე დააკმაყოფილა მოსარჩელის მეორე მოთხოვნა ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ, რომ არ დაადგინა სადავო უძრავი ნივთის მოპასუხის მფლობელობაში ყოფნის ფაქტი.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა მისი მოქმედების დასრულების კონკრეტულ თარიღს, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღმკვეთი ხასიათისაა. ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული ინტერესი – იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრევატიზების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან მიმართებით არ იკვეთება. რაც შეეხება ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილებას, საკასაციო პალატამ განმარტა: იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე უარყოფს ობიექტის ფლობას და მის სახელზე არ გაცემულა სადავო ობიექტზე საკუთრების მოწმობა, გაურკვეველია თუ რით ირღვევა მესაკუთრის მიერ ნივთის ფლობის უფლება, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1302-1287(კ-11) 25.07.12).

#### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 361-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1410-11 19.10.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-167-10 09.12.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად განმარტა სკ-ის 361-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ საქმის მასალებით არ არის დადგენილი მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება, ასევე არაა დადგენილი ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის მოთხოვნის უფლების არსებობა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზე იყო მომსახურების ხელშეკრულება (ნარდობა), რა დროსაც, როგორც წესი, ჯერ ხდება სამუშაოს შესრულება, ხოლო შემდგომ – გადახდა. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებული იყო, დაამტკიცოს, რომ მისი ქმედება არ იყო ხელშეკრულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოება და ხელშეკრულების შესრულება დამოკიდებული არ იყო მის აქტიურობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1775-1743 (კ-11) 16.05.12).

#### **სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 407-ე მუხლი, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 12.1 მუხლი):**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (№3/ბ-789-2011 30.09.11) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-235/11 26.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა სკ-ის 352-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 407-ე მუხლი, ასევე „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი და არ დააკმაყოფილა თავდაცვის სამინისტროს სარჩელი კვების კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი იყო თავდაცვის მინისტრის სამხედრო ქვედანაყოფში მომსახურის

გავლის შესახებ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევა. ამდენად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობას. სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, მოსარჩელეს დააკისრა თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ კვების კომპენსაციის თანხის გადახდა (**გადაწყვეტილება №ბს-1662-1634(კ-11) 27.03.12**).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 999.4, 155.2 და ზაკ-ის 208-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1712-11 11.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/5281-2010 19.07.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ სახეზე არ იყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის მისი მოსამსახურის ქმედების გამო ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობებიც, რადგან მოპასუხე არ შეიძლება განხილულ იქნეს მესტიის მუნიციპალიტეტის მოსამსახურედ, ვინაიდან იგი არ ეწეოდა ანაზღაურებად საქმიანობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 992-ე მუხლის, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 999.1 მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებლობა ზიანისთვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო ზიანის უშუალო მიმყენებელი, სკ-ის 155.2 მუხლის თანახმად, მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი. ზაკ-ის 208-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პასუხს აგებს, როგორც მისი მოსამსახურის მიერ სამსახურობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის, ასევე იმ კერძო პირის ქმედების შედეგად დამდგარი ზიანისთვის, რომელიც თვითმმართველობის ორგანოს დავალების საფუძველზე მოქმედებს. ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეულობის შეფასებისას, უნდა შეფასდეს სწორედ ამ პირისა თუ ორგანოს ბრალეულობის საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (**განჩინება №ბს-1779-1747(კ-11) 28.12.12**).

**სასამართლოს შეცდომა („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი და 53.2 მუხლი)**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/186-11 07.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3182-09 25.11.09) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას იხელმძღვანელა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11

მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის 53.2 მუხლით და მიიჩნია, რომ მესამე პირები აღჭურვილნი იყვნენ სადავო უძრავი ნივთით სარგებლობის უპირატესი უფლებით, მაშინ როდესაც არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება ამ პირების, როგორც თვითნებურად შეჭრილების გამოსახლების თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია დადგენილ იქნეს, არსებობდა თუ არა სადავო ფართში მე-3 პირთა შესახლების სამართლებრივი საფუძველი. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელე საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვერ დაუფლა ნივთს მე-3 პირის არამართლზომიერი, განგრძობადი ქმედების გამო, ვერ იქცევა იმ უფლების მინიჭებაზე უარის თქმის მოტივად, რომელიც მას კანონიერი საფუძვლით აქვს მოპოვებული. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზეა უფლებათა კონფლიქტი, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგენილ იქნება, ვის გააჩნია უკეთესი სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-308-304(კ-12) 28.12.12).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/267-12 16.05.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3112-11 12.01.12) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას აღნიშნა, რომ მოსარჩელეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2006 წლის პირველი იანვრისათვის არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რაც მითითებული კანონის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხავდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რამდენადაც აღნიშნული ნორმა ადგენდა მხოლოდ 2006 წლამდე მოპოვებული საპენსიო უზრუნველყოფის უფლების გაგრძელების პირობებს და არ ქმნიდა პენსიის დანიშნის საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია წინამდებარე შემთხვევაში საქმე ჰქონდა უკვე მოპოვებული უფლების შეჩერების ფაქტთან თუ არ წარმოშობილ (არარსებულ) უფლებასთან, რაც მნიშვნელოვნად ცვლიდა სავარაუდო სამართლებრივ შედეგს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ის პირები, რომლებიც ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის იყვნენ და სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგაც დაუდგინდათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, კანონმდებელმა გაუთანაბრა მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კატეგორიას და გაითვალისწინა მათთვის საპენსიო უზრუნველყოფა იმ ოდენობით, რაც დადგენილი იყო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის. ამდენად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც საქმე ეხება ბავშვობიდან შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე კატეგორიის პირებს, რომლებსაც შესაძლებლობის შეზღუდვა დაუდგინდათ ბავშვობიდან, უნდა შეფასდეს რამდენად არსებითია და განმსაზღვრელია ის გარემოება, თუ დროში როდის დაუდგინდა პირს სპეციალური შემოწმებით ასეთი სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-551-541(კ-12) 27.12.12).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების მე-40 პუნქტი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/104-12 14.02.12) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/6344-11 09.12.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბრძანების კანონიერების შეფასებისას არ გაითვალისწინა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების მე-40 პუნქტში განხორციელებული ცვლილებები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კანონის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სამხედრო სამსახურში მყოფი პირის სხვა შემთხვევაში დალუპვის დროს, მიიღოს გადაწყვეტილება დალუპული სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე, როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებაში შეტანილი წვლილის, ასევე მისი ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების მიცემის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაავალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, განიხილოს მოსარჩელისათვის, მისი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ერთჯერადი დახმარების სახით, 15 000 ლარის კომპენსაციის ანაზღაურების საკითხი. (გადაწყვეტილება №270-266(კ-12) 15.11.12).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup>-ე პუნქტები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№33/1555-10 30.12.10) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/38-08 29.12.08) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების საფუძველზე რეორგანიზაციის გამო გათავისუფლებული პირებისათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე, ასევე სამოქალაქო პირების მიმართ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის მოთხოვნის მიმართ სხვა ნორმატიული აქტების, კერძოდ, სადავო სამართალურთიერთობების მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი „შრომის კანონთა კოდექსის“ ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შესაძლებლობაზე.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატის განმარტებით, ის გარემოება, რომ 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup>-ე პუნქტებით ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებზე, აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება მოსარჩელეთა მუშაობის პერიოდში 33<sup>1</sup> პუნქტის არარსებობის შესახებ, არ ადასტურებდა სადავო სამართალურთიერთობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გაუვრცელებლობას და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბრძანებულების აღრინდელი რედაქცია ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებული სამოქალაქო პირების ერთჯერადი დახმარების უფლებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა

მოსარჩელე სუბიექტთა სტატუსი და ემსჯელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურების საფუძვლის არსებობაზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ 109-ე მუხლის მოქმედების არაერთჯერადი შეჩერება ასევე არ ქმნიდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების უფლების დაკარგვის საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-450-447(კ-11) 04.05.12).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2096-11 27.12.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3553-11 28.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე არ გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, რაც მითითებული კანონის 23-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე გამორიცხავდა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს, არ გამოუკვლევია და არ დაუსაბუთებია საქმე გვაქვს უკვე მოპოვებული უფლების შეჩერების ფაქტთან თუ არწარმოშობილ (არარსებულ) უფლებასთან, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სავარაუდო სამართლებრივ შედეგს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ მე-8 მუხლის სისტემურ განმარტებას და დავის გადაწყვეტა მოითხოვს ხსენებული ნორმების ყველა ნაწილის ურთიერთკავშირში გააზრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-186-184(კ-12) 26.09.12).

**სასამართლოს შეცდომა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1. მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/777-11 25.05.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/120-10 20.05.10) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1. მუხლის თანახმად არ დაადგინა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის მისი ხელფასის ოდენობა, ასევე რა ტიპის ავიაციითა და საათობრივი დატვირთვით ახორციელებდა მოსარჩელე საფრენოსნო სამუშაოებს.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ უნდა დაადგინოს წარმოადგენდა თუ არა მოსარჩელე წელთა ნამსახურობის შეღავათიანი გაანგარიშების სუბიექტს. ამასთან უნდა გაარკვიოს მათთვის უკვე დანიშნული კომპენსაციის დროს ნამსახურობის შეღავათიანი გაანგარიშების გამოყენება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1073-1062(კ-11) 30.05.12).

**სასამართლოს შეცდომა (საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-4 ნაწილი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1819-11 29.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე 3/1758-11 23.09.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არასწორად შეაფასა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება და სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ სამინისტროსათვის მითითებული განკარგულებების საფუძველზე გადარიცხული საკომპენსაციო თანხები მთლიანად ამოწურული იყო, ხოლო მოსარჩელემ უარი განაცხადა სამინისტროს შეთავაზებაზე ფულადი კომპენსაციის ნაცვლად საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, ასევე არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 16 მარტის ბრძანება, რომლის შესაბამისადაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის ოჯახის საკომპენსაციო თანხით ან საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განკარგულების მე-4 ნაწილი შეიცავდა კონკრეტიზაციას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხის ოდენობაზე, ბინის სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურება შესაძლებელი ხდებოდა დაფინანსების ფარგლებში, მაგრამ აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავდა სახელმწიფოს იმ ვალდებულებისაგან გათავისუფლებას, რაც მან მოსარჩელის მიმართ იკისრა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება, ბათილად ცნო სადავო აქტი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა ახალი აქტის გამოცემა (გადაწყვეტილება №ბს-125-124(კ-12) 12.12.12).

**სასამართლოს შეცდომა („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლი, სკ-ის 411-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/2072-11 20.12.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/5211-11 31.10.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ გაითვალისწინა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის პირველი მუხლისა და სკ-ის 411-ე მუხლის მოთხოვნები, რის გამოც მიიჩნია რომ სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ დაგვიანებით მოხდა მოსარჩელისათვის დევნილის სტატუსის მინიჭება, რის გამოც მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, 2012 წლის იანვრიდან ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა. ამდენად, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს სკ-ის 411-ე მუხლი და ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა მატერიალური ზიანის ანაზღაურება (გადაწყვეტილება №ბს-142-141(კ-12) 06.12.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 1008-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1710-11 25.10.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1631-11 30.08.11) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას გამოიყენა სკ-ის 1008-ე მუხლი და ჩათვალა მოთხოვნა ხანდაზმულად მაშინ, როდესაც ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო იმ მომენტიდან, როდესაც კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება და შესაბამისად, სარჩელის შეტანის დროისათვის გასული არ იყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. აგრეთვე არ გაითვალისწინა სკ-ის 1005-ე, 413-ე მუხლების მოთხოვნები.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 1005.1 მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი და მოსამსახურემ სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგოს პასუხი. მოსარჩელის შვილის უკანონოდ დაკავება და მოპასუხეთა ბრალეული ქმედებით მისი წამებით გარდაცვალება დედისათვის განეკუთვნება მორალურ ზიანს, მით უფრო სახეზე იყო მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის. ასევე სახეზე იყო ხელმყოფი პირების ბრალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფოთის შს სამმართველოს ყოფილ თანამშრომლებს მოსარჩელის სასარგებლოდ დააკისრა მორალური ზიანის სოლიდარულად ანაზღაურება (გადაწყვეტილება №78-78(კ-12) 27.12.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 52-2 და 397-ე მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/1714-11 15.11.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/1237-11 24.08.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ მოახდინა სკ-ის 397-ე მუხლის სრულყოფილი ანალიზი, არ დაადგინა ხელშეკრულების ნამდვილი შინაარსი, არ გამოარკვია ხელშეკრულების შესაბამისად არსებობდა თუ არა ერთი და იმავე პირობის დარღვევის მოტივით ორი სხვადასხვა პირის მიმართ პასუხიმგებლობის გამოყენების შესაძლებლობა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებისა და მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, არსებობდა თუ არა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სკ-ის 397-ე მუხლის თანახმად პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ ვერ მიიღო შესრულება მე-3 პირისაგან. გარდა ამისა, სკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, რაც ნიშნავს იმას, რომ დადგენილ უნდა იქნეს ნების შინაარსი, რომელიც ვერ გასცდება ხელშეკრულების მიზანს, ხოლო ხელშეკრულების ნორმათა ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, მათი განმარტების გზით უნდა დადგინდეს სად გადის და სად იმიჯნება მოსარჩელის პასუხისმგებლობის ზღვარი, რა თვალსაზრისითაც საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოებები, რამაც განაპირობა ხელშეკრულების დადება, ასევე მხარეთა ორმხრივი უფლებები და ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-191-189(კ-12) 18.07.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 721.2 მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№38/687-08 12.07.11) დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/121 29.06.04) შემოსული სააპელაციო

საჩივრის განხილვისას არ გამოიყენა სკ-ის 721.2 მუხლის მოთხოვნა, იმ საფუძველზე, რომ დაუდასტურებელი იყო მოსარჩელებისათვის ზიანის მიყენების საფრთხის შექმნის ვითარების დადგომის შესაძლებლობა, ამდენად, ქორწინების პერიოდში წარმოშობილ სამემკვიდრეო უფლებებზე გავლენას ვერ მოახდენდა სამკვიდროს გახსნის შემდეგ განქორწინების რეგისტრაცია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ აწ გარდაცვლილმა სიცოცხლეშივე მოსარჩელის სახელზე გაცემული რწმუნებულებით გამოხატა ნება განქორწინების მოწმობის აღების თაობაზე; ხოლო მოსარჩელემ მინდობილობის საფუძველზე განქორწინების მოწმობის აღების მიზნით იმავე დღესვე მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ასეთ პირობებში მოსარჩელე უფლებამოსილი იყო სკ-ის 721.2 მუხლის შესაბამისად, გაეგრძელებინა დავალებული მოქმედების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №1402-1385(კ-11) 19.04.12).

**სასამართლოს შეცდომა (სკ-ის 129.1 და 128.3 მუხლები):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/814-11 13.07.11) რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3-164-10 23.02.11) შემოსული სააპელაციო საჩივრის განხილვისას მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ავტომატურად დაკარგა სადავო ფართით სარგებლობის უფლება, რადგან სადავო ფართში არ ცხოვრობდა და არც ითხოვდა ბინის მის მფლობელობაში დაბრუნებას. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ 129.1 და 128.3 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, არასწორად აითვალა ხანდაზმულობის ვადა და სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადა აითვლება იმ დროიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო სადავო გარემოების არსებობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1548-1527(კ-11) 28.12.12).

**სასამართლოს შეცდომა („პატიმრობის შესახებ“ კოდექსის 24-ე მუხლი):**

თბილისის სააპელაციო სასამართლომ (№3ბ/1205-11 21.09.11) თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №3/3861-10 15.10.10) შემოსული სააპელაციო საჩივარი საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულების სამინისტროს მიმართ, დაავადების შესაბამისი მკურნალობის ჩატარების მოთხოვნის თაობაზე არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მარტოოდენ მითითება არასათანადო მკურნალობაზე საკმარის საფუძველს არ წარმოადგენდა იმისათვის, რომ მოპასუხის მოქმედება ჩათვლილიყო არაკანონიერად.

**საკასაციო სასამართლოს განმარტება:** საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „პატიმრობის შესახებ“ კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით, მისთვის საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული სამკურნალო საშუალებები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის

მიღებისას სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, რის შესახებაც დგება ცნობა, რომელიც შემდგომ მის პირად საქმეში ინახება. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს ასკ-ის მე-19 მუხლით მინიჭებული შესაძლებლობა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევისა და დანიშნული მკურნალობის კურსის შეჯერებით დაადგინოს, რამდენად შეესაბამება დანიშნული მკურნალობა მოსარჩელის დიაგნოზს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა იმავე სასამართლოში (განჩინება №ბს-1744-1713(კ-11) 30.05.12).

### 3. დასკვნა:

შესწავლილი მასალის განზოგადების შედეგად გამოვლინდა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომების შემდეგი ტენდენციები:

- საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, ექსპერტის დასკვნები, სასამართლოს მიერ არ იქნა შეფასებული სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავდა დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ იქნა გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული იყო;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 385.2 მუხლი, ისე დააბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომ არ იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა დაბრუნების აუცილებლობის მიზეზზე;
- სასამართლო წესით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შეუძლებლობისას, როდესაც ვერ ხერხდებოდა სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება;
- სასამართლომ საქმე მხარის დაუსწრებლად განიხილა, მაშინ, როდესაც საქმეში არ მოიპოვებოდა მხარისათვის სასამართლო შეტყობინების კანონით გათვალისწინებული წესით გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია;
- სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი, პროცესზე მხარის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზის საკითხზე;
- სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის 28<sup>1</sup>-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება მოთხოვნის ტრანსფორმირების თაობაზე;
- სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 162-ე მუხლი, ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე და სსკ-ის 172-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით არასრულყოფილად შეაფასა ექსპერტის დასკვნა;
- სასამართლომ არასრულყოფილად იმსჯელა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და ფაქტობრივად ფორმალური თვალსაზრისით განახორციელა მართლმსაჯულება სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნის უგულვებელყოფით;

- სასამართლომ არასწორად განმარტა ასკ-ის მე-17 მუხლი, რის გამოც ირღვევა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი;
- სასამართლომ არ გამოიყენა ასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით შეაგროვონ მტკიცებულებები;
- სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, რაც სსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია;
- სასამართლო აქტი არ შეიცავდა დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ იყო გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები, ამდენად დაირღვა სსკ-ის 393.2 მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;
- ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების და მე-9 მუხლის მოთხოვნის დარღვევით სასამართლოს მიერ განხილულ იქნა აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის კანონიერების საკითხი;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სამართალდამრღვევი პირის გარდაცვალების ფაქტი გამორიცხავდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაძლებლობა;
- სასამართლომ არ გამოიყენა სკ-ის 420-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა სკ-ის 352.5 და 407-ე მუხლის მოთხოვნები ხელშეკრულებიდან გასვლისას ზიანის ანაზღაურების დავებზე;
- სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი სამივლინებო თანხის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით;
- სასამართლომ არასწორად განმარტა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი სარეზერვო სამსახურიდან განთავისუფლებულ სუბიექტთა შესახებ;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა;
- სასამართლომ არასწორად განმარტა საბაჟო კოდექსის 232-ე, 233-ე, 242-ე, 238-ე, 246-ე და 248-ე მუხლები, არ გაითვალისწინა, რომ სახეზე უნდა იყოს ის კონკრეტული სუბიექტი, რომელმაც ჩაიდინა სამართალდარღვევა და მისი ბრალეულობა;
- სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლი, 12.23, 131-ე, 140-ე მუხლები, ვინაიდან, დავის განხილვის პროცესში აქტის შეფასებისას გადამწყვეტია აქტის კანონიერება მატერიალური თვალსაზრისით, ხოლო პასუხისმგებლობის შეფარდების პროცესში სავალდებულოა, პასუხისმგებლობა დადგეს იმ გადაცდომისათვის და იმ ფარგლებში, რაც პირმა ჩაიდინა;
- სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 149-ე და 150-ე მუხლი, არ გაითვალისწინა, რომ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს;

- სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 397-ე მუხლი და არ გაითვალისწინა სკ-ის 52-ე მუხლი, იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ ვერ მიიღო შესრულება მე-3 პირისაგან;
- სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 361.2, მე-400 და 172-ე მუხლები, რის გამოც არ იმსჯელა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისას ვადის გადაცილების ბრალეულობის საკითხზე და არ დაადგინა, მოხდა თუ არა ფორმალურად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება;
- სასამართლომ არასწორად განმარტა სკ-ის 721.2 მუხლი იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელემ მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილი იყო გაეგრძელებინა დავალბებული მოქმედების შესრულება;
- სასამართლომ არასწორად განმარტა „სააღსრულები წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-10 და 17.7 მუხლები;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლი იმის შესახებ, რომ სამართალდამრღვევი პირის გარდაცვალების ფაქტი გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაძლებლობა;
- სასამართლომ არ გაითვალისწინა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლის მოთხოვნა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის დროისათვის მისი ხელფასის ოდენობის დადგენის აუცილებლობის თაობაზე.
- სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 129.1 და 128.3 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც არასწორად აითვალა ხანდაზმულობის ვადა და სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

**სასამართლო პრაქტიკის შესწავლის  
და განზოგადების განყოფილება**